საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გომართელი ამირან იოსების ძე

გომართელი ამირან იოსების ძე (დ. 11. VIII. 1946, თბილისი), ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1997), პროფესორი (1998). 1969 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკტი. 1973–2006 იქვე კითხულობდა ლექციებს. 1973–89 მუშაობდა უახლესი ქართ. ლიტ-რის ისტ. კათედრაზე, 1989–2006 იყო ქართ. ენისა და ლიტ-რის სწავლების მეთოდიკის კათედრის გამგე, 1997–2006 – ფილოლ. ფაკ-ტის დეკანი. 1999-იდან რედაქტორია ფილოლ. ფაკ-ტის ალმანახისა „ლიტერატურა და სხვა". გ-მა არაერთი წერილი მიუძღვნა XIX–XX სს. ქართ. მწერლობას, მ. შ. აღსანიშნავია „ქართული სიმბოლისტური პროზა" (1997), ლიტერატურული წერილები და ესეები (2005). წიგნისათვის „ჭირთა თქმა სჯობს" (1985) გ-ს მიენიჭა ნ. ლორთქიფანიძის სახ. პრემია (1986). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).